

**კავშირებითი კილოს რაობისათვის იტალიურ ენაში
(მიზეზის, შედეგისა და დათმობითი დამოკიდებული წინადადებები)**

მაია ჯავახიძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: maiajava@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.57>

როდესაც ვსაუბრობთ კილოზე იტალიურ ენაში, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით მოდალობის რაობას. მოდალობა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა სახის დამოკიდებულებას რელობისადმი, ასევე მთქმელის დამოკიდებულებას თავისი ნათქვამისადმი. საკითხი მოდალობის საზღვრების შესახებ სხვადასხვაგვარად წყდება. როგორც პალმერი აღნიშნავს, შედარებით ადვილია ზმნის ისეთი კატეგორიების კვლევა, როგორცაა დრო და რიცხვი, ვინაიდან ისინი ნათლად არიან წარმოდგენილნი განსხვავებული ფორმებით (like/liked; cat/cats). მოდალობა კი სემანტიკური კატეგორიაა, რომლის განმარტებაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ის გამოხატულია სხვადასხვა ფორმალური საშუალებებით, როგორცაა მოდალური ზმნები, კავშირებითი კილო, ნაწილაკები (Palmer F.R., 2013; 2).

დროისა და ასპექტისაგან განსხვავებით, მოდალობა პირდაპირ არ ეხება მოქმედების რაიმე მახასიათებელს; ის არის პროპოზიციის სტატუსი. გამოიყოფა მოდალობის ორი ძირითადი ტიპი – ეპისტემური და დეონტური მოდალობა. ეპისტემური მოდალობა გამოხატავს ვარაუდს, რომლის პერიფრაზი ასეთი იქნება: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია“, „შესაძლებელია, რომ...“ „შესაძლებელია, რომ მოცემული ინფორმაცია სიმართლე იყოს“. დეონტური მოდალობა კი გამოხატავს ნებართვასა და ვალდებულებას.

ზოგადად კილო ზმნის მორფოლოგიური კატეგორიაა ისევე, როგორც პირის, რიცხვის, ასპექტის, დროისა და გვარის კატეგორიები. რაც შეეხება მოდალობას, ის სემანტიკური კატეგორიაა. კილოს კატეგორია გამოხატავს ისეთ მოდალობას, როგორცაა ბრძანება (orders), სურვილი (wishes), (არა-)სინამდვილე ((non-)factivity), (არა-რეალობა) ((non-)reality) და მოწონება (like) (Thieroff R., 2010;3).

დროის კატეგორიის მსგავსად, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ბევრი სხვადასხვა ლექსიკური ელემენტით (ზმნიზებით, წინდებულებიანი ფრაზებით, ზმნებით, წინადადებებით), კილოც შეიძლება გამოიხატოს სხვა ენობრივი საშუალებებით, მაგალითად, მოდალური სიტყვებით ან სხვა ლექსიკური ელემენტებით; კილოს შემთხვევაში წინადადების დონეზე გვაქვს დაპირისპირება არა-მოდალური – მოდალური ან თხრობითი (declarative) – არა-თხრობითი (non-declarative), ცნების დონეზე კი ფაქტუალური (factual) არა-ფაქტუალური (non-factual), რეალური (real) – არარეალური (unreal). ყველაზე შესაფერის ტერმინებად კილოს ტიპოლოგიურ კვლევებში მიიჩნევა რეალისი (realis) ირეალისი (irrealis); „რეალური წარმოადგენს სიტუაციას როგორც განხორციელებულს, მომხდარს ან ისეთს, რომელიც ხდება და რომელიც ცნობილია პირდაპირი პერცეფციის გზით. ირეალური წარმოადგენს სიტუაციას როგორც აზროვნების სფეროს ნაწილს, რომელიც წარმოსახვის საშუალებით გვეძლევა“ (Mithun M., 1999;173, პალმერის მიხედვით, Palmer F.R., 2001;6).

რეალური/ირეალურის განსხვავების მიზნით ბევრ ევროპულ ენაში გამოიყენება ტრადიციული ტერმინი „თხრობითი“ და „კავშირებითი“.

მორეტი-ორვიეტოს განმარტებით, კილო გამოხატავს „კომუნიკაციის ტიპს, რომელსაც მოსაუბრე ამყარებს თავის მსმენელთან“ ან „დამოკიდებულებას, რომელსაც მოსაუბრე იღებს თავისი ნათქვამის მიმართ“ (Moretti G.B., Orvieto G.R., 1983;8). იტალიურ ენაში კილო წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ა) თხრობითი კილო, რომელიც წარმოგვიდგენს რეალურ ფაქტს: *I ragazzi studiano – ახალგაზრდები სწავლობენ.*

ბ) კავშირებითი კილო – რომელიც გამოხატავს რეალობიდან ან რაიმე ფაქტის ობიექტურად წარმოდგენისაგან გარკვეულად დაშორებას; აღნიშნული კილო წარმოადგენს მოქმედებასა თუ პროცესს როგორც სასურველს (desiderato), შიშის გამომწვევს (temuto), ნების (voluto), სავარაუდოს (supposto), მაგალითად, *se mi dessi retta! – ჩემთვის რომ მოგესმინა!*

ც) პირობითი კილო გულისხმობს რაიმე პირობის არსებობას, რომელიც, ძირითადად, დამოკიდებელია სუბიექტის სურვილზე და რომელიც შეიძლება იყოს რეალური ან ვირტუალური: *mi piacerebbe fermarmi qui – მომეწონებოდა აქ დარჩენა.*

დ) ბრძანებითი კილო გამოხატავს ზემოქმედებას მოსაუბრეზე ბრძანებით, მოწოდებით, თხოვნით (*Fermati! – შეჩერდი! Ascoltatevi – მისმინე!*).

კავშირებით კილოს იტალიურ ენაში გააჩნია ოთხი დრო: აწმყო, წარსული, წარსული განგრძობითი (imperfetto) და პლუსკვამპერფექტი (trapassato). ის ძირითადად წარმოდგენილია დამოკიდებულ წინადადებებში და მისი დრო (ძირითად შემთხვევებში) დამოკიდებულია მთავარი წინადადების ზმნის მიერ გამოხატულ დროზე. კავშირებითი კილოს გამოყენება იტალიურ ენაში რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული:

1. მთავარი წინადადების პრედიკატის სემანტიკით; კავშირებითი ჩნდება დამოკიდებულ წინადადებაში, როდესაც მთავარი წინადადების პრედიკატი გამოხატავს

a. ნებას: ***Voglio che lui venga stasera – მინდა, რომ დღეს მოვიდეს.***

b. დეონტურ აუცილებლობას ***È necessario che lui venga – აუცილებელია, რომ დღეს მოვიდეს.***

c. შეაქვს რაიმე ეპისტემური ელფერი: ***Credo che lui venga stasera. ვფიქრობ (მგონია), რომ ის მოვა ამ საღამოს.***

d. გადააფასებს პროპოზიციის შინაარსს, წარმოადგენს რა მას როგორც თემას: ***Mi dispiace che lui venga stasera. ვწუხვარ, რომ ის ამ საღამოს მოვა*** (Squatrin M. 2010; 247).

ზოგიერთ დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებითი კილო ძალიან კარგად გამოხატავს სურვილის (volativo), შესაძლებლობისა (potenziale) და ეჭვის (dubitativo) კომპონენტს, რომელიც ითვლება ზმნის ამ კილოს ძირითად მახასიათებლად.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ დამოკიდებული წინადადებების რამდენიმე ტიპს, რომლებშიც გამოიყენება კავშირებითი კილო. ყველანი იყოფიან ექსპლიციტურ და იმპლიციტურ კონსტრუქციებად. ექსპლიციტურ კონსტრუქციებში წარმოდგენილია ზმნა რომელიმე კილოურ ფორმაში, ხოლო იმპლიციტურებში კი წარმოდგენილი არიან *გერუნდივი, ნამყო დროის მიმღობა ან ინფინიტივი.*

მიზეზის დამოკიდებული წინადადება.

მიზეზის დამოკიდებულია ის წინადადებები, რომლებიც გამოხატავენ მთავარი წინადადებით გამოხატული შინაარსის მიზეზს, პასუხობენ კითხვას: *perché? რატომ? per quale motivo? რა მიზეზით?* ამ ტიპის ექსპლიციტურ წინადადებებში ზმნა თხრობით, უფრო იშვიათად კი პირობით და კავშირებით კილოშია. მათში გამოყენებულია კავშირები: *perché, poiché, siccome, dato che.* იმპლიციტურ კონსტრუქციებში კი *გერუნდივს, ნამყო დროის მიმღობას ან ინფინიტივს წინ უსწრებს წინდებულები: per, a, di.* განვიხილოთ მაგალითები:

1. თხრობითი კილო: *Andrò al cinema da solo, dato che tu non vuoi venirci.*

კინოში მარტო წავალ, რადგან შენ არ გინდა წამოსვლა.

2. პირობითი კილო: *Ti chiamerò più tardi, perché vorrei parlarti.*

მოგვიანებით დაგიირეკავ, რადგან შენთან დალაპარაკება მინდა.

მიზეზის დამოკიდებული ექსპლიციტური წინადადებებიდან განვიხილავთ სამ ისეთ შემთხვევას, როდესაც გამოყენებულია კავშირებითი კილო.

1. *Non accetta la proposta non perché non ne veda i vantaggi, ma perché preferisce aspettare.*

შემოთავაზებას არ ეთანხმება, არა იმიტომ, რომ მის დადებით მხარეებს ვერ ხედავს, არამედ იმიტომ, რომ მოცდას ამჯობინებს.

როგორც ვხედავთ, კავშირებითი კილო გამოყენებულია ექსპლიციტურ დამოკიდებულ წინადადებაში: *non perché non veda i vantaggi...* რაც განპირობებულია იმით, რომ მიზეზი წარმოდგენილია როგორც სუბიექტური აზრი.

სერიანი ამგვარ დამოკიდებულ წინადადებას უწოდებს „ფიქტიურ“ მიზეზს (causa fittizia), რასაც ჩვეულებრივ მოსდევს რეალური მიზეზის შემცველი თანწყობილი წინადადება.

2. კავშირებითი კილოს ფორმა დასტურდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მიზეზის დამოკიდებულ წინადადებაში მითითებულია „ორი მიზეზი, და მათგან ორივეს აქვს ერთნაირი შესაძლებლობა, რომ იყოს რეალური“ :

...chiamano “sor maè” chiunque stia loro sul naso, o perché sospettino che vada per stuzzicarli, o perché riconoscano in lui un ceto diverso e distinto” (Bartolini).

ისინი „სორ მაეს“ ეძახიან ყველას, ვინც თვალში არ მოსდით, ან იმიტომ, რომ ეჭვი აქვთ, რომ კარგს არაფერს მოუტანთ, ან იმიტომ, რომ მასში განსხვავებულ სოციალურ ფენას ხედავენ.

სხვა მაგალითია:

Si irrigidiva davanti a chiunque lo osservasse troppo a lungo, o perché immaginasse un giudizio, o perché temesse che gli leggessero dentro.

შემდებოდა ყველას წინაშე, ვინც მას დიდხანს აკვირდებოდა, ან იმიტომ, რომ ეგონა განიკითხავდნენ, ან იმიტომ, რომ შიშობდა, მის აზრებს კითხულობდნენ.

3. მესამე შემთხვევაში კი მიზეზის დამოკიდებული წინადადებები ასრულებენ მთავარი წინადადების ზმნის სუბიექტის ან ობიექტის როლს, ეს ე.წ. დამატებით დამოკიდებული წინადადებებია (“proposizioni completive”), მათ გარეშე მთავარი წინადადება დაუსრულებელი იქნებოდა. ექსპლიციტურ ფორმებში გამოიყენება კავშირი che და იმპლიციტურში di+ინფინიტივი. ექსპლიციტური ფორმების მაგალითებია:

Si mostrava sorpresa del fatto che nessuno avesse protestato.

გაკვირვებული ჩანდა იმით, რომ პროტესტი არავის გამოუთქვამს.

Provava imbarazzo per il fatto che tutti la osservassero.

თავს უხერხულად გრძნობდა იმის გამო, რომ ყველა მას უყურებდა.

შედეგის დამოკიდებული წინადადებები.

შედეგის დამოკიდებული წინადადება გამოხატავს ფაქტს ან სიტუაციას, რომელიც მთავარ წინადადებაში გადმოცემული აზრის პირდაპირი შედეგია:

È così alto che deve farsi fare tutto su misura. – ისეთი მაღალია, რომ ყველაფერი თავის ზომაზე უნდა შეაკერინოს.

რა განასხვავებს შედეგის დამოკიდებულ წინადადებას მიზნის დამოკიდებულისაგან? მასში არ არის წარმოდგენილი სურვილი, განზრახვა, რაც ახასიათებს მიზნის დამოკიდებულ წინადადებებს:

Cammino lentamente per non stancarmi. – ნელა დავდივარ, რათა არ დავიღალო.

ამ შემთხვევაში მკვეთრად არის გამოხატული სურვილი, განზრახვა.

Cammino lentamente in modo da non stancarmi. – ნელა დავდივარ, ისე, რომ არ დავიღალო.

მეორე შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს შედეგის დამოკიდებულ წინადადებასთან, რომელშიც არ ჩანს მთქმელის განზრახვა, მისი სურვილი.

შედეგის დამოკიდებულ ექსპლიციტურ კონსტრუქციებში ზმნა ძირითადად თხრობით კილოშია, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში დასტურდება პირობითი და კავშირებითი კილოც; წარმოდგენილია კავშირი **che** ან **მაკავშირებელი შესიტყვება**.

როგორც წესი, მთავარ წინადადებაში, რომელსაც მოსდევს შედეგის დამოკიდებული წინადადება, დასტურდება ელემენტი, რომელსაც შემოჰყავს ეს წინადადება, ეს ელემენტებია:

– ზმნიზედა: *così-იმგვარად, talmente – იმდენად, tanto – ისე ძლიერ, იმდენად*

*La mamma amava **talmente** figlio, che avrebbe sacrificato la vita per lui.*

დედას შვილი ისე უყვარდა, რომ მისთვის სიცოცხლესაც გაწირავდა.

– ზედსართავი სახელი: *tale – ისეთი, simile – მსგავსი:*

*Ho una **tale** paura che griderei.*

იმგვარმა შიშმა ამიტანა, რომ დავიყვირებდი.

– ზმნიზედას +ზედსართავი: *così veloce – ისეთი სწრაფი, tanto furbo – ისეთი ეშმაკი*

– ორი ზმნიზედა: *così tanto – ისე ძლიერ, talmente tanto – იმდენად ბევრი*

– სიტყვათა სხვა ჯგუფი: *in modo tale – იმგვარად, in maniera tale – იმგვარად.*

ახლა კი თავად წინადადებები განვიხილოთ, რომლებშიც სხვადასხვა კილოური ფორმებია წარმოდგენილი:

1. თხრობითი კილო: *Ho corso **talmente tanto** che mi è venuto il fiatone.*

იმდენი ვირბინე, რომ ძლივს ვსუნთქავდი.

2. პირობითი კილო: *Corri **così veloce** che chiunque si arrenderebbe.*

ისე სწრაფად გავიქეცი, რომ ყველა დამნებდებოდა.

3. კავშირებითი კილო: *Non era così lontano **che** non potesse sentire i nostri discorsi.* *ისე შორს არ იყო, რომ ჩვენი საუბრის გაგება არ შეძლებოდა.*

ჩვეულებრივ, ამ წინადადებებში კილო თხრობითია, კავშირებითი გამოჩნდება მაშინ, როდესაც შედეგობითი იღებს ვარაუდის (eventualità) ან შესაძლებლობის (potenzialità) კონოტაციას:

*... voi avete un mestiere e io so lavorare: andiamo **tanto lontano** che colui non senta più parlar di noi.*

თქვენ სამუშაო გაქვთ, მე კი მუშაობა ვიცი; ისე შორს წავიდეთ, რომ მან ჩვენზე აღარაფერი გაიგოს.

უნდა აღნიშნოს კიდევ ორი შემთხვევა, როდესაც წარმოდგენილია კავშირებითი კილო. ხშირად ეს არის უარყოფითი კონსტრუქცია (Serianni L., 2000;407):

Minimizzava l'errore, non tanto convincentemente però che non restasse qualche dubbio.

შეცდომას აბაიზურებდა, თუმცა ისე დამარწმუნებლად ვერა, რომ ეჭვი არ დარჩენილიყო.

მეორე შემთხვევა კი ეხება კონრეტული შესიტყვების გამოყენებას: In modo (tale) che:

*La maestra fece **in modo**, che tutti gli alunni seguissero.*

მასწავლებელი ისე მოიქცა, რომ ყველა მოსწავლეს გაეგო.

თუმცა ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არ არსებობს წესი და შესაძლებელია თხრობითი კილოს გამოყენება, განსაკუთრებით სასაუბრო მეტყველებაში.

დათმობითი დამოკიდებული წინადადებები.

დათმობითი დამოკიდებული წინადადებები გამოხატავენ ფაქტსა თუ სიტუაციას, რომლებიც მაინც ხდება, დასტურდება, მიუხედავად მთავარ წინადადებაში წარმოდგენილი ინფორმაციისა. ისინიც იყოფიან ექსპლიციტურად, თუ მათში წარმოდგენილია ზმნა კავშირებითი, თხრობითი ან პირობითი კილოს სახით და იმპლიციტურად, თუ მათში წარმოდგენილია ინფინიტივი, მიმღეობა ან გერუნდივი.

ექსპლიციტურ დათმობით წინადადებას წინ უძღვის, როგორც წესი, კავშირები ან მაკავშირებელი გამოთქმები, რომელთა მნიშვნელობაა „მიუხედავად იმისა“, „თუმცა“, „მაინც“, „მაშინაც კი“: *seppure, benché, ancorché, anche se, quand'anche, con tutto che, malgrado (che), nonostante (che).*

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

*Seppure **fosse** consapevole delle difficoltà, decise di andare avanti.*

მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებდა სირთულეებს, გადაწყვიტა წინ წასულიყო.

*Benché **sia** molto stanco, continua a lavorare.*

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დადლილია, მაინც განაგრძობს მუშაობას.

Malgrado l'attore abbia fatto tagliare una scena [...] il film sta ottenendo un enorme successo.

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობმა სცენა შეაკვეცინა [...], ფილმი უდიდეს წარმატებას აღწევს.

Come è possibile avere una università meno funzionale, nonostante sia radoppiato il personale?

როგორ შეიძლება, რომ უნივერსიტეტი ნაკლებად ფუნქციონალურია, მიუხედავად იმისა, რომ პერსონალი გაორმაგებულია?

დათმობით დამოკიდებულ წინადადებებში წარმოდგენილია ისეთი მაკავშირებელი გამოთქმები, როგორცაა: *ammettiamo che, mettiamo che, ammesso che, concesso che მნიშვნელობით* – „დავუშვათ“, *dato che, posto che* – დავუშვათ, რამდენადაც, იმ შემთხვევაში თუ; ყველა ამ გამოთქმას შეუძლია მიიღოს დათმობითი მნიშვნელობა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათთან ერთად წარმოდგენილია *anche, pure*:

...anche ammesso che tu avessi ragione, hai fatto male a comportarti così.

იმასაც თუ დავუშვებთ, რომ სიმართლე შენს მხარეს იყო, მაინც ცუდად მოიქეცი.

განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს გადახრა დათმობითი მნიშვნელობისკენ ისეთ გამოთქმებში, როგორცაა: *ammettiamo, mettiamo, poniamo (pure) che* :

...ammettiamo che un momento, per assurdo, che io possa dimenticare quello che lei ha fatto... Ammettiamolo.

დავუშვათ ერთი წუთით, რომ მე შემძლია დავივიწყო ის, რაც მან გააკეთა... დავუშვათ.

დათმობით დამოკიდებულ წინადადებებში წარმოდგენილია ასევე ისეთი მაკავშირებელი გამოთქმები, როგორცაა: *a condizione che, a patto che, solo che* – იმ შემთხვევაში თუ, იმ პირობით თუ, მხოლოდ, *per poco che* – ოდნავ თუ, როგორც არ; *nell'eventualità che, nell'ipotesi che, nel caso che* – იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ.:

პირველ ოთხს აქვს შემზღვეველი (restrittivo) მნიშვნელობა:

Di queste galline, sette le mangeremo noi, e una la daremo a te, a condizione [...] che tu faccia finta di dormire.

იმ ქათმებიდან შვიდს ჩვენ შევჭამთ, ერთს შენ მოგცემთ, იმ პირობით თუ [...] შენ თავს მოიმძინარებ.

Per poco che cambi il tono, si offende.

ოდნავ (ცოტა), ტონს თუ შეიცვლი, მაშინვე სწყინს.

Per poco che avessimo esitato, avremmo perso il treno.

ცოტას თუ შევყოვნდებოდით, მატარებელზე დავაგვიანებდით.

დათმობითი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე სამ კონსტრუქციას აღმატებითი ხარისხის მნიშვნელობის ტონალობით (*sfumatura elative*) რომლებშიც წარმოდგენილია კავშირებითი კილო:

Per+ზედსართავი (ან მიმღეობა)+che +კავშირებითი კილო ზმნებისა: *essere, sembrare, parere*:

Qualunque dose, per piccolo che sia, comporta un rischio.

ნებისმიერი დოზა, სულ მცირე კი, სარისკოა. (რაც არ უნდა მცირე იყოს ის)

Cartelli, semafori, vetrine, insegne luminose, manifesti, per studiati che fossero a colpire l'attenzione, mai fermavano il suo sguardo. (Calvino)

აფიშები, შუქნიშნები, ვიტრინები, განათებული წარწერები, პლაკატები — როგორ საგულდაგულოდაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი შექმნილნი ყურადღების მიპყრობის მიზნით, მის შზერას არასოდეს აჩერებდნენ.

Per+ზმნიზედა+che+ნებისმიერი ზმნა კავშირებითის ფორმით:

Per presto che si arrivasse, si era sicuri di trovarli già sul campo. (Bassani. Il Giardino di Finzi-Contini)

რაც ა რ უნდა ადრე მისულიყავი, დარწმუნებული იყავი, რომ ისინი უკვე ადგილზე იქნებოდნენ

Per+ინფინიტივი+che+ ნებისმიერი ზმნა კავშირებითის ფორმით (per lavorare che facesse).

ყველა ამ კონსტრუქციაში per შეიძლება გამოტოვებული იქნას:

*In ogni uomo, **birbante che sia**, c'è sempre un poeta. (Baldini)*

ყველა ადამიანში, თუნდაც გაიძვერა იყოს, ყოველთვის არის პოეტი.

Per-ის გამოტოვება სავალდებულოა, როდესაც წყვილად არიან წარმოდგენილნი ზედსართავი ან არსებითი სახელები:

*Grossa o piccina **che sia** la tenuta, la mezzadria è una corda. (Pratolini)*

მამული დიდი იქნება თუ პატარა, მონახევრობა ხელებზე ბორკილია.

*Daremo un riconoscimento ai 'segnalati' **che ne saranno ritenuti più degni**, individui o istituzioni **che siano**.*

ჯილდოს იმ „შერჩეულებს“ მივანიჭებთ, რომლებიც ყველაზე ღირსეულებად ჩაითვლებიან — იქნებიან ესენი ინდივიდები თუ ინსტიტუციები.

და ბოლოს, დათმობითი მნიშვნელობის მქონე წინადადებებთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს ზოგიერთი განუსაზღვრელი ზედსართავი სახელი და ნაცვალსახელი: *Chiunque, qualunque, qualsiasi, checché* – მნიშვნელობით, „ნებისმიერი ვინმე ან რამე“; ასევე ზმნიზედები ან ზმნიზედური გამოთქმები: *Comunque, come che, ovunque, dovunque, da ogni parte* „სადაც არ“ და მსგავსი რომლებსაც შეუძლიათ შეიყვანონ მიმართებითი დამოკიდებული წინადადება დათმობითი მნიშვნელობით:

***Chiunque sia** il responsabile, la decisione non verrà cambiata.*

ვინც არ უნდა იყოს პასუხისმგებელი, გადაწყვეტილება არ შეიცვლება.

***Qualunque fosse** il motivo del ritardo, non lo giustificava.*

რაც არ უნდა ყოფილიყო მისი დაგვიანების მიზეზი, მაინც მას არ ამართლებს.

თხრობითი კილოს გამოყენება აძლევს წინადადებას ჩვეულებრივი მიმართებით დამოკიდებული წინადადების მნიშვნელობას:

*Critica **qualunque cosa** faccio (= tutto ciò che faccio).*

აკრიტიკებს ყველაფერს, რასაც ვაკეთებ.

*Critica **qualunque cosa** io **faccio** (= tutto ciò che faccio, anche se non merita critiche)*

აკრიტიკებს ყველაფერს, რასაც არ უნდა ვაკეთებდე.

მეორე შემთხვევაში კი დამოკიდებული წინადადება უკვე მიმართებით-დათმობითა და ეს ცვლილება შემოაქვს კავშირებით კილოს: ამ შემთხვევაში იგულისხმება „თუმცაღა, ის, რასაც ვაკეთებ, არ იმსახურებს კრიტიკას“.

როგორც სერიანი აღნიშნავს, „თხრობითო კილო მუდამ კონკურენციაში კავშირებითთან“: ზმნა, როგორც წესი, დათმობით დამოკიდებულ წინადადებებში კავშირებითი კილოს ფორმითაა წარმოდგენილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოყენებულია *anche se* ან *da con tutto che*.

*Sono più ricchi **gli italiani**, **anche se non sempre lo fanno**.*

იტალიელები უფრო მდიდრები არიან, თუმცაღა ეს ყოველთვის არ იციან.

ამავე დროს სერიანი გამოყოფს ისეთ შემთხვევებს, როდესაც *benché*-ს შემდეგ შესაძლებელია დადასტურდეს თხრობითი კილო:

1. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც იცვლება აღნიშნული კავშირის მნიშვნელობა, ის აღარ გადმოსცემს მნიშვნელობას „თუმცა“, არამედ იღებს მნიშვნელობას „მაგრამ, მაინც“ - ანუ მნიშვნელობა ხდება „მაპირისპირებელი“: დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს და შეიძლება პაუზით (ან გრაფიკულად) იყოს გამოყოფილი:

*...una mia amica, **che voleva prender uno contro la volontà de' suoi parenti, facendo in quella maniera, ottenne il suo intento [...]; benché la poveretta se ne pentì poi, in capo a tre giorni.**” (Manzoni. I Promessi Sposi)*

ერთი ჩემი მეგობარი, რომელსაც სურდა თავისი ნათესავების ნების წინააღმდეგ დაქორწინებულიყო, ასეც მოიქცა და თავის მიზანს მიაღწია, [...]; მაგრამ საბრალომ ეს სამი დღის თავზე ინანა.

2. თხრობითი კილო ასევე დასაშვებია არაფორმალურ რეგისტრში:

Forse votava comunista anche lui, benché accuratamente evitava di dichiararlo. (Sciascia)
შესაძლოა, ისიც კომუნისტებს აძლევდა ხმას, თუმცა ძალიან ფრთხილად, ერიდებოდა ამის საჯაროდ გამოცხადებას.

3. Benché-სთან ან ნებისმიერ სხვა კავშირთან თხრობითი კილო დასტურდება მაშინ, როდესაც დამოკიდებული წინადადების ზმნა მომავალ დროშია და გამოხატავს მთავარ წინადადებასთან მიმართებაში მომავალ მოქმედებას.

დასკვნა: ჩვენ განვიხილეთ კავშირებითი კილოს გამოყენების შემთხვევები მიზეზის, შედეგისა და დათმობით დამოკიდებულ წინადადებებში.

მიზეზის დამოკიდებულ წინადადებაში სამი შემთხვევაა, როდესაც გამოიყენება კავშირებითი კილო: „ფიქტიური“ მიზეზის შემთხვევაში, ერთ რთულ წინადადებაში ორი მიზეზის არსებობის შემთხვევაში და დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში მათი ხმარება განპირობებულია სუბიექტური აზრის გამოხატვის მიზნით.

შედეგის დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებითი კილოს შემოაქვს ვარაუდის ან შესაძლებლობის კონოტაცია; გვხვდება უარყოფით კონსტრუქციაში და ასევე გამოთქმასთან: in modo tale – იმგვარად, ისე.

დათმობით დამოკიდებულ წინადადებებში კავშირებითი კილოს ხმარება სავალდებულოა გარკვეულ კავშირებთან: *seppure, benché, ancorché, malgrado (che), nonostante (che)* და სხვ. ისეთ კავშირებთან, რომლებიც გამოხატავენ არა რეალობას, არამედ გარკვეულ ირეალობას: *ammettiamo che, mettiamo che, ammesso che, concesso che მნიშვნელობით – „დავუშვათ“*; მოქმედებისათვის აუცილებელ პირობას: *a condizione che, a patto che, solo che* – იმ შემთხვევაში თუ, იმ პირობით თუ, მხოლოდ, *per poco che* – ოდნავ თუ, როგორც არ; *nell'eventualità che, nell'ipotesi che, nel caso che* – იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ. უზუსტობის მნიშვნელობა შემოაქვთ ამ ტიპის წინადადებებში ასევე განუსაზღვრელ ზედსართავ სახელებსა და ნაცვალსახელებს: *Chiunque, qualunque, qualsiasi, checché – ვინც არ უნდა... (ნებისმიერი ვინმე), რაც არ უნდა... (ნებისმიერი რამე).*

და ბოლოს, ამგვარი დეტალური ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია როგორც იტალიური ენის სწავლების თვალსაზრისით, ასევე კავშირებითი კილოს ტიპოლოგიური კვლევის საფუძვლის მოსამზადებლად.

ბიბლიოგრაფია

1. Bertinetto P.M. (1986): Tempo, aspetto, e azione nel verbo italiano. Il sistema dell' indicativo, Accademia della Crusca. Firenze.
2. Comri B. (2001): Aspect. Cambridge University Press. United Kingdom.
3. Moretti G.B., Orvieto G.R., (1983): Grammatica italiana, vol. III, Benucci. Perugia.
4. Palmer F. R (2013): Modality and the English Modals.
5. Palmer F. R (2001): Mood and Modality. Cambridge University Press.
6. Serianni L. (2000): Grammatica, Sintassi, Dubbi. Garzanti.
7. Squartini M. (2010): Mood in Italian, in Thieroff R., Rothstein B., (2010) Mood in the languages of Europe. John Benjamins Publishing Company.
8. Thieroff R. (2010) Moods, Moods, Moods. In Thieroff R., Rothstein B. (2010): Mood in the languages of Europe. John Benjamins Publishing Company.